

რამაზ ჭილაია (საქართველო)

მოდერნიზმიდან პოსტ-პოსტმოდერნიზმამდე

„სამყაროში არც არაფერია ორიგინალური. თვით უდიდესი შემოქმედნი გან-გან აცეცებდნენ თვალს და სხვათა იდეებს საკუთარ შემოქმედებაში ინტეგრირებდნენ. სხვისას შენეულად ნუ გაასაღებ, დაესესხე და დახვეწე ისინი“.

ოსტინ კლეონი

XXI საუკუნე ექსისტენციის ახალ (ახლებურ) წესებს გვთავაზობს; გაშიშვლებულია ცივილიზაციათა კონფლიქტები. ადამიანი გარესამყაროსთან თანხმობაში არსებობის გზათა ძიებაშია (რაც, თვითგადარჩენის გზის ძიებაა ფაქტობრივად). ციფრული ტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ ხელი შეუწყო საზოგადოების ახალ კულტურულ ეტაპზე გადასვლას.

ადამიანს არსებობა უწევს ამა თუ იმ სახის სოციუმში. იგი კოლექტი-ვისმიერი არსებაა, თუნდაც „უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელს“ განრიდებული, იძულებულია იპოვოს ექსისტენციური საყრდნი წერტილი. ეს „წერტილი“ კი მაინც საზოგადოების კულტურისმიერ ფორმათა ჩამოყალიბებულ ნორმებში იძებნება. ცალკე საკითხია ამ ფორმათა სახელდება და რაგვარობა; თუ რამ განაპირობა და როგორ შემუშავდა ისინი. ნიცხესეული „Umwandlung des Geistes“ – „სულისმიერი გარდასახვა“ დასაშვებია, კულტურულ სფეროში მიმდინარე გლობალური ცვლილებების ტოლფარდ კონცეპტად ვიგულისხმოთ. განვითარება ცვლილებების გარეშე არ არსბობს; კონკრეტულ შემთხვევაში, ძირეულ მახასიათებლად, შემეცნება და ადამიანის თავი-სუფლება (თავისეუფალი ნება) უნდა მივიჩნიოთ. წინსვლა-განვითარებას კი სინამდვილეზე წარმოდგენის ცვლილება, აღქმის მეთოდები, შეუზღუდავი თავისუფლება განსაზღვრავს.

კულტურისმიერი სივრცე გვესახება როგორც ეკონომიკურ-სოციალური, პოლიტიკური, სულისმიერი გამოვლინებების მრავალსახოვნების ურთიერთმიმართება; რაც ჭეშმარიტების, სამყაროსეული შეგრძნებების და ადამიანური ბუნების შეცნობით იკვრება. მიუთუთებენ, რომ კულტურისმიერი ფენომენი ამგვარ ტრიადას აცნობიერებს: ადამიანი – ობიექტური სამყარო – აბსოლუტური ჭეშმარიტება. ცხადია, მოცემული ტრიქოტომია ვერ შეიძლება იყოს უნივერსალური, მაგრამ არსებობის უფლება კი აქვს. თუ აღნიშნულ გააზრებას დავეყრდნობით, დასაშვებია სისტემატიკის ასე წარმოდგენა: a) ჭეშმარიტება და მასზე კონკრეტული შეხედულებანი განსაზღვრავს ინდივიდის

მსოფლშეგრძნებას, მისი შემოქმედების არსს. b) აღნიშნულ კომპონენტთა ერთობლიობავე წარმოქმნის კულტურისმიერ მოვლენას.

სადღეისოდ, მკვეთრად იცვლება კაცობრიობის საერთო კულტურული (სულიერი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური) კონტექსტი. თითქმის ნახევარი საუკუნეა უკვე, სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-ჰუმანიტარული სფეროს მოაზროვნები მსჯელობენ თუ რა მსგავსება ან განსხვავება იყო მოდერნისა და პოსტმოდერნის ეპოქებს შორის. აზრი იმ პოზიციისკენ იხრება, რომ ადამიანი ორჭოფულ მდგომარეობაშია, ვერ ენდობა წინარე გამოცდილებებით შექმნილ (როგორც უან ლიოტრი იტყვის) დიადნარატივებს, რომელთაც მისი სრული „დაკამაყოფილება“ შეუძლიათ. თანამედროვეობის და XX საუკუნის ხელოვნების ნიმუშების შეპირისპირება-შედარებისას, კრიტიკოსები დაუფარავად მიუთითებენ, რომ რაღაც ახლებური მსოფლმხედველობრივი თუ კულტურული პერიოდის დაფუძნების მოლოდინი ნაგვიანებია; სამანი უკვე გადაალახულია და ბილიკების გაკვალვას ვცდილობთ. მართალია, ცოდნის პოსტმოდერნული გააზრება ან უკვე ველარაა ჭეშმარიტი და სამართლიანი, თუმც „ახლებური“, პოსტმოდერნის კლასიკოსთა ნაღვან-ნააზრებს უნდა დაეფუძნოს. გასათვალისწინებელია ადრე შემუშავებული ცოდნა პოსტმოდერნისტული ეპისტემის დაძლევისა. ძნელი სათქმელია თუ რა გზით წავა საზოგადოებაში დაგროვებული ცოდნის მექანიზმი, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი კი ცხადია – სიფრთხილითაა გასააზრებელი ახალი თეორიები, რომელთა უმეტესობა ჩვენებულად, ლოგიკასაა აცდენილი ან უბრალოდ სპეციულატიური შინაარსისაა. დიდი ალბათობით, ცალსახად სახელდებული და განსაზღვრული ეპოქაც სათუოა. „ეჭვშეუვალობა“ ჯერ კიდევ პოსტმოდერნმა დაძლია.

ცივილიზებული საზოგადოების ასაკს ოცი ათასი წლით განსაზღვრავენ. ცივილიზაცია აზროვნების გარეშე ვერ სულდგმულობს. აზროვნებას აზროვნებაზე ყოველთვის აინტერესებს იმგვარი „წვრილმანები“, რომლებშიც ამოიკითხება ერთი. განმსაზღვრელია მრავალში ერთის აღმოჩენა. აზროვნება კოგნიტური პროცესია, ასახოვნებს ამოცანის გადაჭრის უნარს; პრობლემური საკითხის დაძლევასთან ერთად პროცესი სრულდება. გარკვეული თვალთახედვით აზროვნება ისეთ პროცესებს ეხება, რომელიც უმუალო აღქმის გარეშე ხორციელდება.

მითოსური აზროვნებიდან მოდერნიზმამდე განფენილ პერიოდში არა-აქტუალურად ჩანს ადამიანის ჭეშმარიტებასთან იერარქიული მიმართების საკითხი. ანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები, დაინტერესდნენ რა მითოლოგიური კოსმოგონიის კრიტიკით, სამყაროს დასაბამის ობიექტური საფუძვლების ძიებითაც დაკავდნენ. თალესი ყოვლის საფუძვლად წყალს მიიჩნევდა, ანაქსიმენე – პაერს, პერეკლიტე – ცეცხლს, დემოკრიტე – ატომებს. მატერიალიზმიდან იდეალისტურისკენ სწრაფვა პითაგორას დამსახურებაა, სამყაროს საფუძვლად რიცხვის აღიარებით. სოკრატე ჭეშმარიტებას, გააზრებას დაქვემდებარებულ ობიექტურ მოვლენად მიიჩნევს, მისი ნამონაფარი

პლატონი ობიექტურ იდეალიზმს უყრის საფუძველს, არისტოტელე იტყვის რომ საგანში მატერიისმიერი ფორმა და იდეალური არსი იყრის თავს.

შუა საუკუნეებში მთავარი საფიქრალი რელიგიაა. აღორძინების ეპოქის ფილოსოფია ადამიანის ხატის ანტიკურ იდეალს უბრუნდება. ამ ეპოქის იდეალი – ადამიანია, რომელსაც გონის მეშვეობით, სამყაროს შეცვლა ხელეწიფება; აქვე ჩნდება პირველი უტოპიებიც. განმანათლებლობა ახლებურად იაზრებს მატერიალისტურის და იდეალისტურის ურთიერთმიმართებას: კანტისეულად, საგნის მხოლოდ ფორმის მატერიალისტური მხარის შეცნობაა დასაშვები, არსი კი მიუწვდომელი რჩება, კლასიკური ფილოსოფია მწვერვალს, დიალექტიკის დაფუძნებით ჰეგელთან აღნევს. დაბოლოს, ცველა ზემონახსენები მოზროვნე მისეულად უმზერდა და აღიქვამდა სამყაროს.

მოდერნიზმის წინასწარგანმჭვრეტი არტურ შოპენჟაუერი თავის ნაშრომით „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ მოასწავებს ადამიანზე ჭეშმარიტების დომინირებას, ნიცშე იტყვის – „ღმერთი მოკვდაო“, შედეგად, მოდერნის ეპოქა დაადასტურებს ახლებურ იერარქიას – ადამიანის თავისუფალი ნება, მისი თავისუფლება, ჭეშმარიტებაზე უპირატესია. მოდერნისტულ გააზრებათა მიხედვთ, უმთავრესია უარყოფითი რეალიების დაძლევის სურვილი, მისი გარდასახვა. ნიცშესეული სწავლების პარალელურად, მოდერნიზმის გამოყეთილი მახასიათებელია ექსისტენციალიზმი, მარქსიზმი (დასავლური ყაიდის) და ფრონდიზმი. სათქმელია ისიც, რომ მოდერნისტული ფილოსოფიური აზროვნების პარალელურად, თანაარსებობს კლასიკურ ფილოსოფიურ მოძღვრებაზე დაფუძნებული მიმართულებანიც – კარლ იუნგის ანალიტიკური ფილოსოფია თუ ტ. ს. ელიოტის ტრადიციონალიზმი.

პოსტმოდერნიზმის არსის წვდომა მოითხოვს ისეთი კატეგორიების გამოყოფასაც როგორებიცაა: პოსტ ისტორიული რეალიები, თამაშისა და დეკონსტრუქციის ტრიადა (შესაბამისად, უან ბოდრიარის და უაკ დერიდას სახელების აღნიშვნით).

ადრეც მივუთითებდით, რომ ლიტერატურა ძნელად ეგუება კლასიფიცირებას. თუმცა, გარკვეული ტაქსონომია თუ რანჯირება მაინც საჭიროა. საჭიროა, ამა თუ იმ ეპოქაში ჩასახული და მიმდინარე პროცესების ნიშან-თვისებების გააზრებისათვის.

მხატვრული სინამდვილე, განსაკუთრებული სინამდვილეა! იგი ზოგად-ხელოვნებისმიერი რეალობაა. მასში განსაკუთრებული „კანონი“ მართავს ყოველივეს. რეალურია ოდენ ტექსტის (ნებისმიერი გააზრებით) სივრცე, „უჩვეულო რეალობა“. სხვა დანარჩენი კერძოობითი, ხშირად საკამათო ნიშან-თვისებები თუ მარკერებია.

მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ოპოზიციური წყვილის ურთიერთმიმართება თითქოს წრეზე ბრუნავს. ჯერ კიდევ ფორმალური სკოლის წარმომადგენლების მიერ ამ სინტაგმის მკვეთრი გამიჯვნა მხარდაჭერილი იქნა სტრუქტურალისტების მიერ. ამგვარი მიდგომა საეჭვოდ მიიჩნიეს და უარყვეს პოსტსტრუქტურალსტებმა, რითაც კვლავ გააცხოველეს ინტერესი

ლიტერატურულ დისკურსში მხატვრული ტექსტის მოდელირებისა. რაც შემ-დგომში, ახლებური მიდგომებით, თეორიულ საკვლევ პრობლემად იქცა. არც სხვა პინარული ოპოზიციური წყვილი, პროზა – პოეზია დარჩენილა ნაირგვარ გააზრებათა ყურადღების ფარგლებს მიღმა. ხან ერთის მოდიფიკაცია წამო-იწვევდა წინ უპირობო სამეცნიერო კონცეპტად – ხან მეორის; უმთავრესი კი გაუნელებელი ინტერესის არსებობა გახლდათ. ცხადია, გამოირჩა და საკვლევი სპექტრის პოლიფონიურობით, „ახლებურის“ ძიება-დამკვიდრებათა მუდმი-ვი ტრანსფორმაციით, ე.ნ. „key point“-ად დარჩა ტექსტისა და ავტორის დიქო-ტომია. ტექსტისა და მკითხველის პრობლემა შედარებით ვიწრო სპექტრისაა, მაგრამ მიდგომათა და შეფასებათა კუთხით უფრო რადიკალური. მხატვრული ტექსტი მისმიერი ენობრივი ფორმით ბუნებრივი მოვლენაა იმ თვალსაზრი-სით, რომ ცალკე აღებული მოდუსით იგი მხატვრულ-ენობრივი საშუალებე-ბით სამყაროს შეცნობის სახეობაა. ლინგვისტური კუთხით ყველაზე სართუ-ლო ტექსტის და სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემაა. აი, ტექსტისა და ტექსტუალობის შეთანადება ინტერსს აღუძრავდა ფორმალისტებს, სემი-ოგიკური კვლევებით დაინტერესებულთ, პოსტსტრუქტურალისტებს, რა თქმა უნდა, დეკონსტრუქტივისტებს. თანამედროვე ფილოლოგიურ სააზროვნო ველში ერთ-ერთ განსაკუთრებულ სამსჯელო თემად კვლავ ტექტის და ტექ-სტუალობის ოპოზიცია მიიჩნევა.

ადრეც აღვნიშნავდით, რომ ერთიანი, უნიფიცირებული, უნივერსალუ-რი საკვლევი მოდელის არსებობა ნონსენსია, მსგავსი რამ თითქოს ი. ლოგმან-მა შეიმუშავა, რომელიც უტოპიურად მიიჩნევდა რ. ბარტის მეთოდს. დრომ კი ასევე უტოპიურად ლოგმანისეული მოდელიც დასახა.

ჩვენეულად, ესა თუ ის მოდელი ერთ, მიზანმიმართულად შერჩეულ საკ-ვლევ მასალას ესადაგება, რომელიც ასევე ერთი სამეცნიერო მიმართულე-ბის იდეოლოგიის ანარეკლია. ამგვარი მიდგომა მსგავსია თ. კუნის (Kuhn 1970) სამეცნიერო პარადიგმისა, რომელიც გახაზავს, რომ სამეცნიერო მეთოდი მხოლოდ შერჩეული პარადიგმის ფარგლებშია შედეგიანი და არა ნებისმიერი სხვა პარადიგმის ფარგლებში მოქცევისას. ამდენად, რამდენი თვალსაზრი-სიცაა, იმდენივე მეთოდი შეიძლება არსებობდს და ყოველი მათგანი მისული ჩარჩოთია დასაზღვრული.

პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობის New-Age-ის წარმომადგენელი პეტერ ჰანდკე აღნიშნავს, რომ ერთხელ აღმოჩენი-ლი მეთოდი დროთა განმავლობაში კარგავს მნიშვნელობას. ხელახლა მას ვერ გამოიგონებ, ამიტომაა, რომ მას გაუცნობიერებლად იყენებენ. ესა თუ ის მხატვრული მეთოდი მრავალჯერადი გამოყენების შემდეგ, დროთა გან-მავლობაში სულ უფრო ეშვება და ბოლოს სრული ავტორმატიზაციის დონეს აღწევს (Handke 1972: 25).

ადამიანის ჭმარიტებასთან მიმართების კონცეპტი პოსტმოდერნიზმის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მასში იკვეთება უმთავრესი – ორივე შემადგე-ნელი საწყისის თავისთავადობა და უნიკალურობა. მოსაზრება, რომ პოსტ-

მოდერნიზმი „კლასიკის“ გარდასახვა-ტრანსფორმაციაა დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ტექსტისადმი მიმართებით ბევრით ემსგავსებიან ერთურთს. თუ კლასიკური ტექსტი მოდერნის ეპოქაში რელობას ბაძავს (იგი ცალკე ნა-გულისხმევი რეალობაა), პოსტმოდერნში იგი უკვე ტექსტისმიერი რეალობის ბაძავა (ჭეშმარიტი რეალურობა ასევე ტექსტიდ აღიქმება). პოსტმოდერნის-ტულ ლიტერატურას არ მიკუთვნებული მიმდინარეობანი („ბიტნიკები“, „გა-ჯავრებული ახალგაზრდები“, თუნდაც „მაგიური რეალიზმი“), აყალიბებდნენ მას; იგი ემიჯნება დადგენილ კანონებს, „გახსნილ თემებს“, ინტერტექსტუ-ალობას. პოსტმოდერნიზმს ერთგავარად გზა გაეხსნა ნათხობის განსხვავე-ბული სტრუქტურით, „ცნობიერების ნაკადით“, ე.წ. „სპონტანური პროზის“ მეშვეობით.

ყოველი ახალი ეპოქა ხლოვნებისმიერ მიმართულებებში ეფუძნება რა წინამორბედს, აფართოებს და კონკრეტული ნიშან-თვისბებით აღჭურავს ძველს. კლასიკურმა ხელოვნებამ (ლიტერატურამ) შექმნა და ჩამოაყალიბა სანიმუშო ფორმა – შინაარსობრივი ნაწარმოებები, ტექსტები, რომლებიც და-ფუძნებულია მხატვრულ სიმართლეზე, მორალურ-ეთიკურ ფასეულობებზე. გაძნელდება კლასიკური ეპოქის საწყისი ეტაპის ზუსტი დროითი მითითება, დაისად კი ჰეგელისეული რწმუნებით, „ხელოვნების დასასრული“ უნდა ვიგუ-ლისმით; რამაც შევა კიდევაც მოდერმიზმი. მოდერნიზმი გარესამყაროსადმი განსაკუთრებული მიმართებაა და არა გამოკვეთილი სტილი. ამ მოსაზრებას მასში არსებული მრავალრიცხოვანი მიმართულებანი ადასტურებს. მოდერ-ნისტმა ხელოვანებმა წინარე გამოცდილებაზე უარის თქმით, თავად დაიწყეს სამყაროს და ადამიანის ასახვის ახლებური ფორმების დამკვიდრება.

მოდერნიზმს საფუძვლად პოზიტივისტური ფილოსოფია, ფენომენოლო-გია, ფრონდიზმი, მარქსიზმი და ნიცშეს სხვალებანი უდევს. თუ პოზიტივიზმი და ფენომენოლოგია ცოდნის ობიექტივიზაციას ესწრაფოდა, ფრონდისტ-მარ-ქსისტ-ნიცშეანელები „ადამიანთმცოდნეობით“ დაკავდნენ. საბოლოოდ, ორ მსოფლიო ომგამოვლილი ორივე მიდგომა გაცუდდა. გაჩნდა ახალი, მოდერ-ნიზმის ტრადიციასთან გამიჯნული პოსტმოდერნიზმი. ხელოვნებისმიერ აზ-როვნებაში შემოვიდა ეკლექტიკა და ქაოტურობის ნიშნები: ენობრივი თამა-შობანი, სტილური სინკრეტიზმი, პიროვნებაზე ტექსტის ზეობის მცდელობა-ნი. პოსტმოდერნიზმი ეჭვს ქვეშ დააყენა და გააკრიტიკა მოდერნიზმის შეხე-დულება უნივერსალური ჭეშმარიტების წვდომის და შეცნობის შესახებ.

ერთ ადგილას არაფერი დგას, ყოველივე ვითარდბა (ეს ბუნებითი წე-სია), ცხოვრება ახალ-ახალ ფორმებს წამოქმნის. სხვადასხვა მიმართულების მოაზროვნები ფიქრობენ და ეძიებენ პოსტმოდერნისტული პარადიგმები-დან გამოსავალ გზებს. თავად „პოსტმოდერნიზმის“ ერთიანი, ამომწურავი განსაზღვრება დღესაც კი არ არსებობს. დეფინიციის პოლიფონიურობა თუ პოლისემიურობა მოტივირებულად აჩენს კითხვას – უფლებამოსილნი ვართ თუ არა მოვიმარჯვოთ აგრერიგად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით „დამძიმებული“ ტერმინი. XX საუკუნის ფილოსოფიამ და საკუთრივ ხელოვ-

ნებამ (რა თქმა უნდა, იგულისხმება ლიტერატურული ტექსტებიც) თითქოს გარკვეული ჩიხური პრობლემები წარმოშვა. ერთი მხრით, სამართლიანია, რომ პოსტმოდერნული ლოგიკა უარყოფს საყოველთაო მეტანარატივის არსებობას. მეორე მხრით – მანვე გაართულა მიზნის მისაღწევად სავალი გზები, როთაც ერთგვარად უარი განაცხადა თავად მიზანზე.

მეოცე საუკუნის 90-იანებში შემჩნეული მოყირჭების ნიშნები 2010 წლისთვის ტერმინისმიერად გაცხადდა, როდესაც ორმა ჰოლანდიელმა ფილოსოფოსმა ტიმოთეუს ვერმიულენმა (Timoteus Vermeulen) და რობინ ვან დენ აკერმა (Robin van den Akker) პროექტ-ესეიში „Notes on Metamodernism“ პირველად ახსენეს მეტამოდერნიზმი. ჩვენეულად – იგივე პოსტმოდერნიზმი. ერთი წლის შემდეგ კი ინგლისელმა მხატვარმა ლიუკ ტერნერმა (Luke Turner) „მეტამოდერნიზმის მანიფესტი“ (Metamodernism//Manifesto) გამოაქვეყნა. რამდენიმე განმსაზღვრელი პოსტულატი „მანიფესტიდან“:

1. ვალიარებთ, რომ რხევა ბუნებრივი მსოფლწესრიგია (შემდგომ, სიტყვახმარებაში ტერმინი **ოსცილაცია** დამკვიდრდა).

2. უნდა გავთავისუფლდეთ მოდერნისტული იდეოლოგიის ხანრგძლივი გულუბრყვილობის და მისი უკანონოდ შობილი ცინიკური არა-გულწრფელობისგან.

3. სამომავლო ქმედება-მოძრაობანი დიამეტრალურად განსხვავებულ იდეებს შორის, რომელთაც სამყარო მოძრაობაში მოჰყავთ, რხევა-მიმოხრით უნდა განხორციელდეს.

4. ვალიარებთ, ყოფიერება გამდიდრდება თუ საკითხს იმგვარად მივუდგებით, რომ ზღვრის გადალახვა მაინც შესაძლებელია, რითაც სამყაროს „გახსნას“ შევუწყობთ ხელს.

5. სადღეისოდ, ტოლად ვეძლევით ნოსტალგიასაც და ფუტურიზმსაც.

6. უნდა შევითვისოთ სამეცნიერო-პოეტური სინთეზიც და მაგიური რეალიზმის ინფორმაციული გუგლბრყვილობა. შეცდომა აზრის დამბადია.

7. ჩვენ იდეოლოგიური საფუძვლისგან თავისუფალ პრაგმატულ რომანტიზმს გთავაზობთ. ამდენად, მეტამოდერნიზმი ირონიას და გულწრფელობას, გათვითცნობიერებულობას და გულუბრყვილობას, რელატივიზმს და ჭეშმარიტებას, ოპტიმიზმსა და დაქვებას შორის ცვალებად მდგომარეობად უნდა განვსაზღვროთ. მიზნად – წინსვლა და მიმოხრა უნდა დავისახოთ.

მეტამოდერნიზმი თითქოს გრძნობათა სტრუქტურაა და ცდილობს მოიცვას იდეები, მიმდინარეობები, რომლებიც მეტამოდერნისტულ მსოფლშეგრძნებას ჩამოაყალიბებენ. იგი უარს აცხადებს კიჩზე, კოლაჟზე, აბსტაქციონიზზე, სიურრეალიზმზე და მისეულად გაიაზრებს ნეორომანტიზმსა და მაგიურ რეალიზმს. ესწრაფის რეკონსტრუქციას, ნათხრობის „კლასიკური“ სახის აღდგენას, მითოსური ფორმების ხელახალ გააზრებას. მიუხედავად ზემოთქმულისა, მეტამოდერნიზმის როგორც პოსტმოდერნის შემდგომ ეპოქად წარმოჩენა, დაუსაბუთებლად გვეჩვენება. **პოსტმოდერნი იმ დრომდე იარსებებს, სანამ მისი დაძლევების მცდელობა იარსებებს.** სათქმელია ისიც, რომ ლი-

ტერატურაში მეტამოდერნიზმს მიაკუთვნებენ ჰარუე მურაკამის, რობერტო ბოლონიოს, დევიდ ფოსტერ უოლესს და ჯონათან ფრანზენს.

მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი, მეტამოდერნიზმი, პოსტ-პოსტმოდერნიზმი ხელოვნების და ლიტერატურის თეორიის, ზოგადად ესთეტიკის, ე.წ. ნონკლასიკურ (არაკანონიკურ) სააზროვნო ველს განეკუთვნება. თეორიასა და მხატვრულ პრაქტიკაში ნონკლასიკის სასარგებლოდ აღბათ, „ყოველდღიური ცნობიერების“ ისეთი მარკერები უნდა მივიჩნიოთ, რომელთაც ფილოსოფიურ-ესთეტიკური დანიშნულება მიაკუთვნეს (ესაა – შფოთი, სევდამოძალება, აპათია, სამუსიკო ტექსტების დისპარმონია, ფერწერული ასიმეტრია, უსაგნობა, აბსურდულობა და მისთ.). იმავდროულად, ეჭვგარეშეა „მაღალი მოდერნიზმის“ XX საუკუნის კლასიკურ ნორმად მიჩნევა.

პოსტმოდერნული ტენდენციების არაკანონიკურობას თუნდაც მისეული კანონის არარსებობა ადასტურებს რაც მიზანმიმართული ასისტემურობის, ეკლექტიზმის, კლასიკური ესთეტიკის კრიტერიუმებისა და ნორმების რყევით გამოიხატება. პოსტმოდერნისტული ესთეტიკა ემიჯნება დოგმებს, მისთვის უცხოა მყარი კონცეპტუალური კონსტრუქციები. დეკონსტრუქციის თეორია უარყოფს აზრის სისავსის (კლასიკური გნოსეოლოგიური თვალთახედვით) პარადიგმის რეპრეზენტაციას ხელოვნების-მიერ სფეროში. მიღრეკილია იმგვარ კონცეფციას, რომელშიც ტექსტი ერთსა და იმავე დროს გულისხმობს დეკონსტრუქციასაც და რეკონსტრუქციასაც (მარტივად რომ ვთქვათ, დაშლა-ანყობას). წინ წამონევს სხვადასხვაგვარ რაკურსს – საწადელს (ჟ. დელოზი), ლიბიდოსმიერ პულსაციას (ჟ. ლაკანი, ჟ.-ფ. ლიოტარი), ცდუნებას (ჟ. ბოდრიარი), ზიზლს (ი. კრისტევა), მნიშვნელოვან ადგილს იყავებს ირონიაც. პოსტმოდერნისტულმა ექსპერიმენტებმა სათავე დაუდეს ტრადიციული ხელოვნების უანრულ-სახეობრივი საზღვრების გაფერმკრთალებას, სინესთეზიური ტერდენციების გააქტიურებას. აქტუალური გახდა მხატვრულობის, ისტორიზმის, რელიგიურობის პრობლემების სიმულაკრულობა, გაცხადებული მეტაენით, ინტერტექსტუალობით, კონტექსტით. კლასიკური ესთეტიკის მხატვრულ სახეობრივის პოსტმოდერნიზმის ესთეტიკაში, სიმულაკრი ჩაენაცვლა.

პოსტმოდერნიზმი ცალსახა, მარტივი მოვლენა არ გახლავთ; ითავსებს კონცეფცია-თეორიებს, რომლებიც ცდილობენ მისი საზღვრების მოშლას და რაღაც ახლის, უფრო თანამედროვეს შექმნას. იბადება სირთულე – **პოსტ-პოსტ-მოდერნიზმის** მომხრენი წინამორბედი მოვლენის რომელი ფრთის თუ სახეობის „დაძლევას“ გულისხმობენ. ერთნი ფრედერიკ ჯეიმისონის თეორიას ემხრობიან, მეორენი კი აღიარებენ ლიოტარის პაზიციას დიადი ნარატივების დაისის შესახებ. დამატებითი სირთულე ისიცაა, რომ პოსტ-პოსტმოდერნისტული თეორიის არაერთი კონცეფციით ფაქტორივად, იმავე სააზროვნო დისკურსში ვიმყოფებით, რაიც პოსტმოდერნიზმა დაამკვიდრა.

საბოლოოდ ცხადიყოფა, რომ პოსტმოდერნიზმა კულტურული ველის გააზრება, მისი ანალიზი შემოგვთავაზა. ამდენად, პოსტ-პოსტმოდერნიზმი

მის ავტორები კვლავ კულტურისმიერ ფესვებზე საუბრობენ. ცხადია, ვგულისხმობთ, ფილოსფონისა და კულტურის თეორეტიკოსის ფ. ჯეიმისონის 1980-იანებში დაწერილ სტატიას „პოსტმოდერნიზმი ანუ გვიანდელი კაპიტალიზმის კულტურული ლოგიკა“ („Postmodernism, or, the Cultural Logic of Late Capitalism“). სტატია განმსჭვალულია იმ პათოსით, რომ პოსტმოდერნიზმი გვიანდელი კაპიტალიზმის გამოხატულებაა.

სადღეისოდ, ყველაზე ხშირად ხსენებულ პოსტ-პოსტმოდერნისტულ კონცეფციად **მეტამოდერნიზმი** მიიჩნევა (ადრე ნახსენებ ჰოლანდიელ ფილოსოფოსთა პროექტი). ხაზგასასმელია, რომ ვერმიულენის და ვან დენ აკერის ადრეშექმნილმა მანიფესტმა ძირეული გადამუშავება განიცადა 2017 წელს გამოცემულ ნაშრომში: „მეტამოდერნიზმი: ისტორიულობა, აფექტი და სიღრმე პოსტმოდერნიზმის შემდგომ“. მიხვდნენ რა, რომ „მანიფესტი“ ვერ იდგა მყარ სამეცნიერო ნიადაგზე და იოლი იყო მისი საფუძვლიანი კრიტიკა, ახალი ვარიანტი ჯეიმისონის მოსაზრბებზე დააფუძნეს. ამასთანავე, პროექტი სხვა ავტორებიც მიიპატიუეს. ძირითად კატეგორიად, მანიფესტის შექმნიდან შვიდი წლის შემდგომ, გრძნობათა სტრუქტურა დაასახელეს. ალბათ თვალნათელია, ჯეიმისონისგან „ნასესხობა“, რომელიც პოსტმოდერნიზმის ძირითად მახასიათებლად სწორედ გრძნობის სტრუქტურას ნამონევდა წინ.

და, მანც ვერ მოხერხდა ერთიანი, ზოგჯერ მსგავსი მოსაზრებების შეჯერება. მრავალსახოვანი შეხედულებები რაციონალურ მარცვალს მართალია შეიცვალენ, ოლონდ მთლიანობითი კონცეპტის დადგენა ვერ განხორციელდა.

საყურადღებო გააზრებას მოიცავს ალან კირბის „**დიჯიმოდერნიზმი**“ (იხ.: Kirby Alan, *Digimodernism: How New Technologies Dismantle the Postmodern and Reconfigure Our Culture*. N. Y., 2009). თუ ითვლება რომ მოდერნის ეპოქის სუბიექტი ნევროტიკია, პოსტმოდერნისა – შიზოიდი, „დიჯი“ ანუ ციფრული მოდერნიზმისთვის ის აუტისტია, რომელიც მისეულ ციფრულ სამყაროს ჰქმნის. ლიტერატურის ამერიკელი თეორეტიკოსის ჯეფრი ნილონის (იხ.: J. T. Nealon, „Post-Deconstructive“ Negri, Derrida and the Present State of Theory“, *Symploke*, vol. 14) თვალთახედვით, დღეს თითქოს ყველა, განსხვავებულის (ადამიანი თუ საგანი) კვლევას ესწრაფის; თუმცა ჯეიმისონისეული და პოსტმოდერნული ლოგიკა დღესაც ძალმოსილია. პოსტ-პოსტმოდერნიზმი პოსტმოდერნიზმის გაძლიერება და მუტაციაა. ამდენად, საუბარია პოსტ-პოსტმოდერნიზმის, ვითარცა თანამედროვე კაპიტალიზმის (just in time capitalism) გამოხატულებაზე.

ოდნავ ადრე, მარკ ფიშერის (Marc Fisher) ფსევდონიმით ცნობილი, პოპულარული ჩრდილო ამერიკელი მწერალი და ლიტერატორი მოიმარჯვებს ტერმინს – „კაპიტალისტური რეალიზმი“. გარკვეული ისტორიულ შეხედულებათა მიხედვით არსებობს მოსაზრება, რომ პოსტმოდერნი უკვე არააქტუალურია, კაპიტალისტური რეალიზმი კი დღესაც „მოთხოვნადი“. ამასთანავე, ეყრდნობა რა ჯეიმისონს, ფიშერი ხშირად ჩაანაცვლებს ხოლმე „პოსტმოდერნიზმისა“ და კაპიტალისტური რეალიზმის ცნება-ტერმინებს (საკუთარი შეხედულების გასამყარებლად არაერთგზის მოიხმობს უიუეკის, დელოზის, გვატარის და დევიდ

ჰარვის ნაწერებს). ამდენად, დასაშვებია მისეულ თეორიას პოსტმოდერნის-ტული ვუწოდოთ, მხოლოდ იმის მითითებით, რომ ავტორი უშუალოდ კაპიტალიზმს იკვლევს.

მოდერნიზმის ეპოქაში ფროიდისეულად, უპირველესია არაცნობიერი, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ქმედებას. ამდენად, ადამიანურ ქმედებას არა ცნობიერება განსაზღვრავს, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული – არამედ არაცნობიერი. საინტერესოა, რომ არაცნობიერი, დადაიზმის ეს საყრდენი წერტილი, მნიშვნელოვანი ხდება სიურრეალიზმისთვისაც. მოდერნისტები დაუპირისპირდნენ ნინა ეპოქებიდან ნამემკვიდრებ ნამყვან ფორმებსა და ნარატივებს; პუნქტალისტურ პერსპექტივას ფერწერა–მხატვრობაში, ტონალურობას სამუსიკო ტექსტებში, რეალისტურ ნათხრობს ლიტერატურაში. ი. ლიტერატურის თავისი თეორიის გარკვეულ ეტაპზე მოდერნიზმის მოსაწონ ნიშან-თვისებად ძველზე უარის თქმას და ახლებური მსოფლალქმის ჩამოყალიბებას მიიჩნევდა. ამ თეზას ნათლად წარმოაჩენს ფუტურიზმი. ხოსე ორტეგა თანადროული ხელოვნების ნოვაციას ამგვარად ხედავდა: ხელოვნების დეპუმანიზაცია; „შეჩვეული“ ფორმების უარყოფა; ზოგადად ხელოვნებაში თამაშის და ირონიის საწყისის მნიშვნელობის ნინ ნამოწევა. ეს ყოველივე ნათელყოფა პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში.

„ნინარე გამოცდილებასთან“ დაპირისპირებულობის მიუხედავად აღსანიშნია ისიც, რომ ერთ-ერთი ადრეული გამოცდილება მოდერნიზმისა – სიმბოლიზმი, რომანტიზმის ხაზს განაგრძობს. ბოდლერი დაწერს – „ყოველ ადამიანში, ყოველ წუთს არის ორი ერთდროული მისწრაფება, ერთი ღმერთისკენ, მეორე სატანისკენ. მოწოდება ღმერთისკენ როდესაც სულიერება არის ამაღლების სურვილი; სატანას მოწოდება როდესაც ცხოველობა არის დაცემით ტკბობა“. ექსპრესიონიზმს და რომანტიზმს შორის კავშირს მიანიშნებს ვალერიან გაფრინდაშვილი: „უეჭველია აგრეთვე ექსპრესიონისტების კავშირი „გრიგალისა და ამბოხების“ გენიალურ ჭაბუკებთან... „გრიგალისა და ამბოხის“ („Sturm und Drang“) პერიოდიდან განსაკუთრებით შილერთან ექსპრესიონისტებს დიდი კავშირი აქვთ. მათი კულტირევოლუციის და კატასტროფის, მათი მორალური პათოსი, თითქოს აღდგენაა შილლერისა და რომანტიზმის პირვანდელ რევოლუციური ხანის, როცა მისი აჯანყება ძველი ლიტერატურის და ცხოვრების წინააღმდეგი იყო თავშეკავებული და უსაზღვრო... მათი პესიმიზმი არის გამოწვეული იმ დამარცხებით, რომელიც ნახა გერმანიაში უკანასკნელ ომში“ (გაფრინდაშვილი 1924).

ქართული გამოცდილების გათვალისწინებით, მოდერნიზმის ხანაში გამოიყოფა ორგვარი პოზიცია, რომლებიც ხილულ სინამდვილეში ჭეშმარიტების ძიებას უპირისპირდება, რაც, რასაკვირველია, მოასწავებს კულტურაში დესემიოტიზაციის პროცესს – როდესაც სიტყვები და საგნები ერთმანეთს აღარ მიემართებიან. ერთია მიღმური სამყაროს წვდომისკენ სწრაფვა, მეორე – უპირატესად ფუტურისტებისეული პოზიცია მომავლის სამყაროს მიმართ.

„პოსტმოდერნიზმი“ ტერმინისმიერად, ამბივალენტური შინაარსისაა. აცნობიერებს როგორ მოდერნიზმის დაძლევის მცდელობას, ასევე მისი გაგრძელების კულტურულ პარადიგმას. პოსტმოდერნიზმი, ვითარცა მსოფლშეგრძება წინ უსწრებს თავად ტერმინისმიერ დამკვიდრებას; მჭიდროდაა დაკავშირებული ტექნოლოგიურ ნოვაციებს, პრობლემის გააზრება საყურადღებოდაა წარმოდგენილი ამ სფეროს „მძიმენონსნად“ მიჩნეული ფრანგი კრიტიკოსის უან ლიოტრის ტექსტში „პოსტმოდერნის მდგომარეობა“, სადაც „პოსტმოდერნი“ თანადროული კულტურული მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სოციალური ორგანიზაცია და ადამიანური ყოფის ცხოველმყოფელობა, პიროვნებისეული შეხედულება ჭეშმარიტბაზე, სამყაროსა და თავად ადამიანზე, განსაზღვრავენ კულტურისმიერ არსს. პიროვნება თავადაა რეალობის შექმნელი, ამასთანავე, სხვათაც ხელენიფებათ საკუთარ შეხედულებათა გამოხატვა და ამით ზოგადი რეალობის გამრავალფეროვნება. ამგვარი გააზრებით სარწმუნოა პოსტმოდერნისტული მტკიცებულება – „სამყარო ტექსტია“.

ახალი თაობის მწერლები ძალაუნებურად ითვალისწინებენ ნამემკვიდრებ პოსტმოდრნისტულ ფორმებსა თუ ნააზრევ-ნაფიქრალს. ასევე, „ძალაუნებურად“ გვთავაზობენ პოსტ-პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის ნარატივისეულ „მიგნებებს“. პიროვნება პოსტ-პოსტმოდერნისტულ ნააზრევში, ალბათ უფრო მეტად სოციალიზებულია. მეთოდის შესაგრძნობად ახლებური ინტერპრეტაცია მოსამარჯვებელი. იგულისხმება გმირთა (პერსონაჟთა) „განჩხრეცვის“ გართულებული მიდგომა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, იკვეთება პოსტ-პოსტმოდერნისტული რომანის ამგვარი მარკერები (Timmer 2010):

- სიუჟეტის აგების პოსტ-პოსტმოდერნისტულმა სტრატგიებმა ნათლად ვერ ჩამოაყალიბეს პიროვნების სრულფასოვანი გააზრების ფორმები.
- პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანში ნათხრობის ახლებური ფორმის ძიება გაპირობებულია პიროვნებისმიერი მცდელობით, როგორმე დაძლეული იქნას ექსისტენციური კრიზისი თუ „აფეთქება“.
- პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანში მნიშვნელოვანია „ურთიერგაცვლის“ მომენტი ანუ სხვებს თავსგადახდენილ ამბავთა საკუთართან დაახლოვება – იდენტიფიცირება. „საკუთარის“ სხვებთან იგივეობის და თანაერთობის შეგრძნების ალბათობა.
- პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანში მნიშვნელოვანია „მსგავსება-ერთიანობა“ (პოსტმოდერნისტული ტექსტებისგან განსხვავებით, სადაც „განსხვავებულობა“ უმთავრესი ნიშანი); ხშირია უშუალოდ ტექსტის აღმქმელი-სადმი მიმართვა – „თქვენც ასევე გრძნობთ, ხომ?“ რაც ე.წ. „გაცვლა-გამოცვლის“, გაზიარების ფორმაა.
- პოსტმოდერნისტული მიგნებები (ხერხები) პოსტ-პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაშიც კვლავინდებურად იხმარება, მაგრამ ან უკვე განსხვავებული ფუნქციით.

- პოსტ-პოსტმოდერნისტული რომანი აცდენილი არაა ირონიას, ოლონდის უკვე სოციალურ ან კულტურისმიერ ნორმად აღარ აღიქმება.
- პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანს ემპათია განსაზღვრავს (გმირებს, მთხრობელს და პერსონაჟებს, მთხრობელს – პერსონაჟებს – მკითხველს შორის).

საფუძვლიანია კითხვა – არის თუ არა პოსტ-პოსტმოდერნიზმი „პოსტ-მოდერნულობის“ ეპოქის ერთ-ერთი ეტაპი თუ მან ამონურა და დაწრიტა „დაღლილი“ პოსტმოდერნიზმი? აღვნიშნავთ უმთავრესს – მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმისგან განსხვავებით პოსტ-პოსტმოდერნიზმი განსაზღვრული ესთეტიკური და მხატვრული კანონების დამკვიდრებას ცდი-ლობს. ერიდება ესთეტიკურის ზოგადი მიდგომების დაფუძნებას. მიიჩ-ნევა, რომ ინტერაქტიულობა დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანია პოსტ-პოსტმოდერნისა. თეორიული გააზრებით, ვირტუალური რეალობა არაკლასიკური ესთეტიკის შედარებით ახალი ცნებაა. ვირტუალობის ესთეტიკა კონცეპტუალურად, უფრო ფართოა პოსტმოდერნულ ესთეტიკასთან შედარებით.

დამოწმებანი:

Gaprindashvili Valerian. *Jurnali „Mnatobi“*, №2. Tbilisi: 1924 (გაფრინდაშვილი ვალერიან. ურნალი „მნათობი“, №2. ტფილისი: 1924).

Kleon Austin. *Steal like an Artist*. Workman Publishing Co. Inc. NY: 2012.

Kuhn Thomas S. *The Structure of Scientific Revolution*. Chicago: 1970.

Timmer Nicoline. *Do You Feel It Too? Postmodernism Studies*. Amsterdam-New York: 2010.

Handke P. *Ich bin ein Bewohner des Elfenbienturms*. Frankfurt am Main: 1972.

**Ramaz Chilaia
(Georgia)**

From Modernism to Post-Postmodernism

Summary

Key words: Civilization, culture, society.

The XXIst century offers us the new rules of existentialism. The conflicts of the civilizations are uncovered. A human is in the process of looking for the ways to be in harmony with the outer world. The fastest development of the digital technologies helped the society to pass to the new cultural stage.

According to his nature, a human has to exist in this or that kind of a society. So, he is forced to find an existentialistic fulcrum. This “prop” is still found in the standards formed

and developed by the cultural forms typical to the given society. According to Nietzsche, the “Transformation of the Spirit” is possible and we must accept and understand it as a concept equal to the current global changes in the cultural sphere. There is no development without changes and transformation; in every concrete case, as a major characteristics, we must consider the perception and freedom of a human. And the progress or development is determined by the changes of the attitude to the universe and understanding of the reality, the methods of perception, and limitless freedom.

The culture-related space is understood and imagined as the variety of the interrelation of an economic, social, political, and spiritual expression; consequently, all the above-mentioned forms of human expressions are joined by the perception of the verity, outer world, and the nature of the human. It has been often pointed out to the fact that the culture-related phenomenon includes the following triad: a human – objectively existent world – absolute world. It must be clear that the given trichotomy can't be universal but it certainly has the right to exist.

If we rely on the already mentioned approach, then it's possible to present the following systematics: a) verity and the ideas regarding it determine perception of the world/universe by an individual, by the essence of his creative power. b) The combination of the above-mentioned components creates culture-related phenomenon.

At present, the common cultural (spiritual, social-economical, political, technological) context undergoes radical changes. Almost already for half a century the thinkers and the scientists discuss the topic regarding the similarity or the difference between the epochs of the modern and the postmodern. The approach that a human is in the ambivalent situation, that he is unable to rely on the narratives created in the result of the prior antecedents and experience because they cannot “satisfy” him, overweighs the other ideas. In the process of the confrontation or comparison of the XX century art samples the critics openly point out to the fact that the founding of some new conception of the world or philosophy of life or cultural period is quite late. This border has already been overstepped and the thinkers still try to blaze the trails. It's true that the understanding of the knowledge in the postmodern channel is not stable anymore; still, it must be based on the ideas and experience of the “innovative” postmodern classics. It must be taken into consideration that the formerly acquired postmodern knowledge is important for the overcoming of the postmodern episteme. It's difficult to say how will the mechanism of the gathered knowledge in the society develop or what way will the events progress. One thing is clear that the new theories must be comprehended with great care, the majority of which, to our mind, does not submit logics or has simply some speculative meaning. In all probability the existence of the definitely named and determined epoch is under the question. “Unrestricting” was overcome by the postmodern earlier.

Every new epoch in any art direction based on the experience of the predecessor, expands and equips the old ones with the new signs and qualities. The classic art (literature) created and formed the models: meaningful narratives, based on the artistic verity and moral-ethical values. The basis of the modern is positivistic philosophy, phenomenology,

Freidism, Marxism, and the doctrines of Nietzsche. If the positivism and phenomenology strived to achieve the objectification of the knowledge, the followers of Freidism, Marxism, and the Nietzsche theories were involved in human studies.

Taking into consideration the Georgian literary experience, during the modern period two kinds of positions have been framed out which confront and contradict searching after verity. In its turn this phenomenon anticipates the process of desimiotisation in the culture – when the words and the objects do not relate to each other. One thing is to rush to the ultimate world, and the other thing is to have the futuristic attitude towards the world.

The concept “postmodern” is of the ambivalent nature. It is understood as the attempt of overcoming the modern as well as the cultural paradigm of its continuation. The postmodern as a conception of the world anticipates the assertion of the concept itself. The postmodern is closely connected with technological innovations.

Social organization and the strength of the human existence, the personal opinion on the truth, the universe, and the person himself, determine the essence of the culture.